HandBook

Membership Terms of Service Agreement www.handbook.ge

ხელშეკრულება №03-06/063

თბილისი 27/06/2017წ.

შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება „ოლსერვის", მისი დირექტორის ლია ხმიადაშვილის სახით, შემდგომში - ადმინისტრატორი, ერთი მხრივ და სსიპ პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი" , მისი დირექტორი :ირმა ჯაფარიძის სახით, შემდგომში - კლიენტი, მეორე მხრივ, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთსასარგებლო საქმიანობაზე, კერძოდ - ადმინისტრატორი კისრულობს ვალდებულებას მის საკუთრებაში არსებულ ვებ გვერდზე დაარეგისტრიროს კლიენტი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით, ხოლო კლიენტი თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაური.

1.2. ამ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 348 (სამასორმოცდარვა) ლარს, რაც შეადგენს 29 ლარს (ოცდაცხრა) ლარს რეგისტრაციის ყოველი თვისათვის.

1.3. კლიენტის მიერ თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ადმინისტრატორის საბანკო ანგარიშზე.

1.4. ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული თანხა მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 2. რეგისტრაციის მნიშვნელობა

2.1. ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია მოიცავს (და არ შემოიფარგლება) შემდეგ მომსახურებებს:

- კლიენტის საკუთარი გვერდის შექმნას ვებ გვერდზე - www.handbook.ge და მისი საქმიანობის შესაბამის კატეგორიაში (ქვეკატეგორიაში) განთავსებას;
- კლიენტის საქმიანობის დეტალური ინფორმაციის განთავსებას (ორგანიზაციის საქმიანობის, პროდუქციის, სერვის(ებ)ის და ა.შ. აღწერას);
- ზოგადი ინფორმაციის განთავსებას (სამუშაო საათები, ფილიალები);
- კლიენტის ლოგოს განთავსებას;
- კლიენტის საქმიანობის ამსახველ ფოტო გალერეის განთავსებას;
- კლიენტის საქმიანობის ამსახველ ვიდეო გალერეის განთავსებას;
- საკონტაქტო ინფორმაციის განთავსებას (ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ხოლო ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში: ვებ გვერდის, Facebook, Instagram, Twitter მისამართები, Viber, Whatsapp, Skype);
- მომხმარებელთა მიერ კლიენტის საქმიანობის შეფასებები და რეიტინგები;
- One-click-away - ღილაკზე ერთი დაწკაპუნებით კლიენტის გვერდზე მითითებულ საკონტაქტო საშუალებებზე დაკავშირება;

ადმინისტრატორი ---------- კლიენტი ----------

GEORGIA ALLSERVICE LTD 405389275

235897512

- სოციალური ქსელების მხარდაჭერა (Facebook, Instagram, Twitter);
- კლიენტის პერსონალურ გვერდზე და კატეგორიის (ქვეკატეგორიის) გვერდზე არსებულ Google Map-ზე ორგანიზაციის ადგილმდებარეობის აღნიშვნას საერთაშორისო ემბლემით;
- Blog პლატფორმაში ორგანიზაციის საქმიანობაზე კლიენტის მიერ მოწოდებული სტატიის განთავსებას;
- Google, Yahoo, (SEO) ოპტიმიზაცია.

2.2. მხარეთა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, კლიენტი სარგებლობს ფასდაკლებებით ადმინისტრატორის იმ მომსახურებებზე, რომლებიც არ არის ამ ხელშეკრულების საგანი, თუმცა კლიენტი მომავალში დაინტერესებული იქნება მათი მიღებით.

2.3. კლიენტს უფლება აქვს, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე, მოითხოვოს ვებ გვერდზე მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეცვლა ან/და განახლება.

2.4. კლიენტი ვალდებულია ადმინისტრატორს გადასცეს სწორი და უტყუარი ინფორმაცია, აგრეთვე ფოტო და ვიდეო მასალა იმ ფორმატში, რაც ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვებ გვერდისათვის.

2.5. ადმინისტრატორი უფლებამოსილია, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, არ განათავსოს ან/და მოხსნას განთავსებიდან კლიენტის მიერ მოწოდებული ის ინფორმაცია ან ინფორმაციის ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ დეტალებს, აგრეთვე, არაეთიკურ, სხვისი პატივისა და ღირსების შემლახველ ინფორმაციას.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება

3.1. ხელშეკულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების გაფორმების და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დღიდან.

3.2. ეს ხელშეკრულება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადით.

3.3. ხელშეკრულება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლოა ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთი მხარის ცალმხრივი ნებით იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

3.4. ადმინისტრატორის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სრულად დაუბრუნოს კლიენტს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული თანხა.

3.5. კლიენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ადმინისტრატორი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს ფაქტობრივად გამოუყენებელი თანხა. გამოუყენებელ თანხად ითვლება სხვაობა ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ თანხასა და ამავე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ღირებულების გათვალისწინებით ინფორმაციის განთავსების პერიოდსა და განთავსებასთან დაკავშირებულ სხვა გაწეულ ხარჯებს (43 ლარი) შორის. დასაბრუნებელ თანხას აგრეთვე აკლდება ამ ხელშეკრულების 1.4. პუნქტით გათვალისწინებული გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი.

ადმინისტრატორი ---------- კლიენტი ----------

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და პასუხს აგებენ მათი არამართლზომიერი ქმედების შედეგად მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის.

4.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება, მეორე მხარისათვის, წარმოადგენს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს.

4.3. ზიანის ანაზღაურების მოცულობისა და ანაზღაურების პირობების განსაზღვრისათვის მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4. მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ამგვარი გარემოებები, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, შესაძლოა გახდეს ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში - სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. ცვლილებები და დამატებები, რომელზედაც შეთანხმდებიან მხარეები, სამართლებრივ ძალას იძენს მხოლოდ მისი მხარეთა მიერ ხელმოწერილი წერილობითი გაფორმების შემთხვევაში.

5.3. მხარეთა შორის ელექტრონულ მიმოწერას და გაგზავნილ დოკუმენტაციას, იმ ელექტრონულ ფოსტებზე, რომელიც მიღებულია მხარეთა შორის, მხარეები ანიჭებენ სამართლებრივ მნიშვნელობას.

5.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს ოლსერვის	სსიპ პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი"
მის: გაგარინის 13-13ა, ბინა №16	მის: მესტია ფარჯიანის 25
ს/კ: 405138275	ს/კ: 235891512
ბ/კ:BAGAGE 22	ბ/კ: TRESGE22
ა/ა:GE57BG0000000193575700	ა/ა: GE24NB0330100200165022
საქართველოს ბანკი	ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
ელ. ფოსტა: lika.khmiadashvili@gmail.com	ელ. ფოსტა: tetnuldi68@gmail.com
ლია ხმიადაშვილი	ირმა ჯაფარიძე
დირექტორი	დირექტორი

ადმინისტრატორი _____ კლიენტი _____